F20/2 N12968

ქართული ბიბლიოთეკა

№ 144 ხუთშაბათი, 2 ივლისი 1909 წ.

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხშირად ვიმეორებთ განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეულ სალამს 4 საათამდე ღირს 3 მ., ლოხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, შიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ... რა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები ... და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ხება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნ.ომერი უველგან ერთი შაური.

დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ვლ. ლორთქიფანიძის დაკრძალვისა გამო დღევანდელი ნომერი 2 გვერდია.

თამარ და ნინო გრიგოლის ასულნი კნ. ბეგთაბეგოვებ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დედის

**მართა** ნიკოლოზ მაჩაბლის ასულის **ბეგთაბეგოვისას.**

პანაშვიდები დილით 11 ს., საღამოთი 6 ს. სოფელ ვაყაში (გორის მაზრა). დაკრძალვა შაბათს, 4 ივლისს, იმავე სოფელში, ღვთის-მშობლის ეკლესიაში. (1—320—1)

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

ხუთშაბათს, 2 ივლისს, 1909 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან **ქ-ნ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## „მელანიას ოინები"

პიესა 4 მოქმ. გადმოკეთებული კ. მესხისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული მთელი დასი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდეა.**

ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებით** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად **სხვის** ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი კ. **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

## !!საზოგადოების საყურადღებოდ!!

ამით მაქვს პატივი ვაუწყო ტფილისის და ახლო-მახლო ადგილების პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის პირველ ივლისიდან ელიხანოვის სახლში (ვორონცოვის ძეგლის მახლობლად) ვხსნით რუსეთისა და საზღვარ-გარეთის **ფეხსაცმელის მაღაზიას.** მაღაზიაში გაიყიდება საქონელი პეტერბურგის, ვარშავის, ვენის და სხვა ქალაქების ფირმებისა. ეს არის ეხლა მოვიდა საქონელი საუკეთესო ფირმებისაგან. სრულ პასუხის მგებლობას ვკისრულობთ საქონლის სიმკვიდრესა და სიკარგისთვის. ფასები ყველა საქონელზე ხელმისაწვდენია და შეუვაჭრებელი.

იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება თვითონ მოვა და დარწმუნდება, რა დიდძალი და კარგი საქონელი გვაქვს და რა იაფად ვყიდით. (1—ხალ.—1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი**— ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—58)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. პროხსეს ქუჩა, N 11. (75—115)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** კაკიტელაშვილი ქუთაისში 1 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სოლმნის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—6)

**ექიმი** კბილისა ი. შ. ჯანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ცოლ.) (24—310—4)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—183)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 101)

**ექიმი** მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ახლად გახსნილი
**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მ. **დ. ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. **ა. პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. **ს. მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—98)

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

## იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

## პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—14)

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივლისი

### სპარსეთი

**ლონდონი.** რეიტერს ატყობინებენ თეირანიდან 30 ივნისს 10 საათზე: 30 ივნისს, დილის ხუთ საათზე, რევოლიუციონერები სამი მხრიდან შევიდნენ თეირანში. ამ ჟამად შაჰის ყაზახებს შუაგული ქალაქი უჭირავთ. ქუჩებში ცხარე ბრძოლაა. ყოველ წუთს მოელიან, რომ შაჰი ერთ-ერთ უცხოეთის მისიას შეაფარებს თავს.

**თავრიზი.** ურმიიდან იტყობინებიან 24 ივნისს: ქალაქი მშვიდდება. 19 ივნისს მოსულმა ოსმალეთის ახალმა კონსულმა გაიყვანინა ოსმალეთის ჯარის-კაცები სოფლებიდან და გამოაცხადა, რომ მტკიცედ გადაწყვეტილი მაქვს, დავიცვა მშვიდობიანობა ქალაქში და ოლქში და ზომებსაც მივიღებ, რომ მთავრობისა და ადგილობრივ მკვიდრთა უფლებანი არავინ დაარღვიოსო.

**ლონდონი.** 30 ივნისი. თეირანიდან რეიტერს ატყობინებენ: ქალაქი ჩრდილოეთის ნაწილი სულ მთლად რევოლიუციონერთა ხელშია. მათ თავიანთი რაზმები დააყენეს და სამაგალითო წესიერებას იცავენ. ჩერდარ ასადი და სეპეხდარი მეჯლისის სადგომში იმყოფებიან. შესამჩნევი რიცხვი შაჰის ყაზახებისა რევოლიუციონერებისკენ გადავიდნენ. როგორც ამბობენ, მალე რევოლიუციონერები მთელის თავიანთ ჯარით იერიშს მიიტანენ იმ უბანზე, რომელიც ყაზახებს უჭირავთ. ხალხი აღტაცებით ეგებება და მხარს უჭერს რევოლიუციონერებს. ინგლისის მისიის მახლობლად 30 ივნისს დიდი სროლა ისმოდა. რევოლიუციონერთა ზარალი უმნიშვნელოა.

### ოსმალეთი

**პეტერბურგი.** რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობები შეთანხმდნენ კუნძულ კრიტოსიდან თავიანთი რაზმების გაყვანაზე. 1908 წლის შეთანხმების ძალით სახელმწიფოებმა თავიანთი რაზმები 14—27 ივლისს უნდა გაიყვანონ. ზემოდ მოხსენებული სახელმწიფოები უკვე შეუდგნენ რაზმების გაყვანას. დღეს, 30 ივნისს, მთავრობები თავიანთ ელჩების ხელით ოსმალეთის მთავრობას გადასცემენ ნოტას. ნოტაში ნათქვამია, რომ რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იტალია რაზმების გაყვანის შემდეგ კრიტოსის წყლებში იყოლიებენ 4 სამხედრო გემს, თითო სახელმწიფოდან თითო სამხედრო გემს. ეს გემები დაიცავენ ოსმალეთის სულთანის უმაღლეს უფლებებს და კრიტოსზე მცხოვრებ მაჰმადიანებსაო. ამას გარდა ნოტაში ნათქვამია, რომ მის მფარველი სახელმწიფოების მთავრობები ამაში საკითხის გადაწყვეტას არა ჰხედვენ, ამიტომ ეს უკანასკნელნი იტოვებენ უფლებას, როცა საჭიროდ დაინახავენ მოლაპარაკება გამართონ ოსმალეთის მთავრობასთანო. ოთხ მფარველ-სახელმწიფოს მთავრობები კრიტოსის მთავრობას პროკლამაციით მიმართავენ. პროკლამაციაში ნათქვამი იქნება, სახელმწიფოებს იმიტომ გაჰყავთ თავიანთი რაზმები, რომ დარწმუნებულნი არიან, კრიტოსის მთავრობა წესიერებას დაიცავს და უზრუნველჰყოფს კუნძულზე მცხოვრებ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრებასო. მთავრობები კრიტოსის მთავრობას ჰპირდებიან, შემდეგშიც ვიზრუნავთ კრიტოსისთვის და, ამას გარდა, აცხადებენ, რომ თუ კრიტოსზე მშვიდობიანობა დაირღვა, ისეთ ზომებს მივიღებთ, როგორც საჭიროდ დავინახავთო.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** სენატმა დაადგინა, შეადგინოს 11 პოლკი ქვეითა არტილერიისა და 42 პოლკი არტილერიისა სამხედრო ექიმი ნიკორი თხოულობდა ყველა კორპუსში სამ საარტილერიო პოლკის შემოღებას.

დეპუტატთა პალატა. კლემანსომ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: სოციალისტები ძალმომრეობის მომხრენი არიან. ისინი თეორიულად უარს-ჰყოფენ ამას, ხოლო პრაქტიკულად ამართლებენო. შემდეგ სთქვა: კანონპროექტი მუშების უზრუნველ ყოფის შესახებ სიბერის დროს მიღებული იქნება საკანონმდებლო დროს გათავებამდე. თუ ეს კანონპროექტი არ იქნება მიღებული, მე მინისტრად აღარ ვიქნებიო. საარჩევნო რეფორმა შეიძლება მაშინ იქნას განხორციელებული, როცა დასრულდება მართვა-გამგეობის რეორგანიზაციაო.

**ნიუიორკი.** ქარიშხალისა და წვიმის დროს ორიზბაში (მექსიკა) დაიღუპა 100 კაცზე მეტი.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** 29 ივნისს ვიტებსკის ქუჩაზე პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულის საჭრელი ქარხანა. დააპატიმრეს ხუთი კაცი.

30 ივნისს დაიწყო სრულიად რუსეთის წიგნის გამომცემელთა და გამყიდველთა წარმომადგენლების კრება. კრების გახსნას, სხვათა შორის, დაესწრნენ ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი და ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსი. კრებას მიულოცეს ვაჭრობის მინისტრმა ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს უფროსმა, რუსეთის წიგნის გამომცემელთა და გამყიდველთა კავშირის, პოლონურ წიგნების გამომცემელთა კავშირის და სხვათა წარმომადგენლებმა. ამას გარდა კრებას მოუვიდა აუარებელი მისალოცი დეპეშა, კრებაში მონაწილეობას იღებს 150 კაცზე მეტი. სხვათა შორის არიან კიევიდან, ვარშავიდან, ყაზანიდან, სარატოვიდან, ხარკოვიდან, ვილნოდან, ვლადივოსტოკიდან, ბარნაულიდან, სემიპალატინსკიდან და ბაქოდან. კრება გაიყო ორ სექციად: წიგნის გამომცემლებისა და გამყიდველებისა. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ილინი, იმის ამხანაგებად დევრიენი და პარაფიდინი, სექციების თავმჯდომარეებად ლემკო და რუკავიშნიკოვი. კრებას განსახილველი აქვს 30 მოხსენებაზე მეტი, მათ შორის წიგნების საერთო საწყობებისა, წიგნების გაგზავნაზე ფოსტის გადასახადის დაკლებისა, წიგნების ავტორების და გამომცემლების ინტერესების დაცვისა, წიგნებით ვაჭრობისა, საგაზეთო განცხადებების ფასის დაკლებისა და სხვათა შესახებ. კრებასთან გამართულია გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას იღებს 40 ფირმაზე მეტი.

დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 77, გარდაიცვალა 38, მორჩა 60, ავად არის 792 კაცი.

**არხანგელსკი.** ხოლერით ავად გახდა 211, გარდაიცვალა 10 კაცი.

**კრონშტადტი.** 28 და 29 ივნისს ხოლერით ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1, ავად არის 30 კაცი.

**ციმბირსკი.** ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი.

**ოდესსა.** დაატუსაღეს ოთხი კაცი. ამათ აბრალებენ რუსეთის საგარეო სავაჭრო ბანკიდან და სავაჭრო-სამრეწველო ბანკის კიშინიოვის განყოფილებიდან ყალბ დოკუმენტებით 15,000 მანეთის გატაცება.

**მოსკოვი.** ხოლერით ავად გახდა ერთი კაცი. ეს მესამე შემთხვევაა აქ ერთი კაცი გარდაიცვალა. კლინსკის მაზრაში ხოლერით ავად გახდა ორი კაცი.

## შპალიერი ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

**განყოფილება ტფილის.:** გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (21—6. 15)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. გვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

## წმ. ნინოს ქალთა საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭო

აუწყებს ტფ. ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებსა და აპეკუნებს, რომ ის მოსწავლენი, რომელთათვისაც 25 აგვისტოსთვის შეტანილი არ იქნება 1908—1909 სამოსწავლო წლის დარჩენილი ფული, სასწავლებლიდან დათხოვნილებად ჩაითვლებიან და მათ ვაკანსიებზე სხვები მიიღებიან. (3—6.—1)

## ვლ. ლორთქიფანიძის დაკრძალვა

გუშინ, პირველ ივლისს, დაკრძალეს, უდროოდ გარდაცვლილის ვლ. ლორთქიფანიძის გვამი.

დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ წარმომადგენელნი ქართულ-რუსულ-სომხურ გაზეთებისა, წერა-კითხვის საზოგადოების, დრამატიულ და საისტორიო საზოგადოებათა, თანამგრძნობნი, პატივისცემელნი, მეგობარნი, ნათესავნი და სხვანი. იყვნენ აგრეთვე მოსულნი ქუთაისიდან, ბათუმიდან და ზოგიერთ სხვა ადგილიდანაც.

12 საათი იყო, როდესაც პანაშვიდი გათავდა და ცხედარი გოლოვინის პროსპექტით, ბარიატინსკისა და ავჭალის ქუჩით წაასვენეს კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე.

სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს ქუთათურ ამხანაგებისაგან—სილოვან ხუნდაძემ. შემდეგ ალექსანდრე მდივანმა და სიმონ ლორთქიფანიძემ.

კუბოს თექვსმეტი გვირგვინი ამკობდა. უმეტესად გვირგვინები ცოცხალ ყვავილებისა იყო. გვირგვინები იყო:

1. საქართ. ს.-ფ. სარ. პარტიისაგან | „უდროოდ დაკარგულ ერთგულ ამხანაგს ლადოს", 2. ბაქოს ს.-ფ. ორგანიზაციისაგან—„ძვირფას ამხანაგს ლადოს", 3. „პატიოსან მებრძოლს ხალხის ინტერესებისთვის ვლადიმერ ბ. ლორთქიფანიძეს" — ამიერ კავკას. საოლქ. კომ. რ. ს.-დ. მ. პარტიისაგან; 4. „ძვირფას თანამშრომელს ვლ. ლორთქიფანიძეს"—„დროების" რედაქციისაგან. 5. „სიტყვით და კალმით მებრძოლს ხალხის თავისუფლებისათვის ვლადიმერ ბ. ლორთქიფანიძეს"—„ჩვენი აზრის" რედაქციისაგან. 6. „ნაკადულის" და ბავშვების მეგობარ ძვირფას ვლადიმერს"—„ნაკადულის" რედაქციისაგან. 7. „დაუვიწყარ უანგარო მოღვაწეს და თავისუფლებისათვის მებრძოლ მეგობარს ვლ. ლორთქიფანიძეს"—გაზ. „დროების" ასოთ-ამწყობებისაგან. 8, ქართულ გიმნაზიისაგან—„საყვარელ და დაუვიწყარ ამხანაგს და მასწავლებელს ვლ. ბ. ლორთქიფანიძეს". 9. ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობისაგან—„გამგეობის ყოფილ წევრს ვლ. ლორთქიფანიძეს". 10. მეგობრებისაგან—„ლადოს". 11. ტფილისის ქართ, გიმნაზიის მოწაფეთაგან—„ძვირფას მასწავლებელს და მამულიშვილს ვლადიმერს." 12. ქუთათურ თანამოაზრეთა წრისაგან—„ტანჯულ ხალხის მეგობარს ვლადიმერს". 13. ბათუმელ ამხანაგთაგან —„ვლ. ლორთქიფანიძეს". 14. „საზოგადო მოღვაწეს და დაუვიწყარ მეგობარს ლადო ლორთქიფანიძეს"—კახეთის მევენახე ღვინის დამყენებელ გლეხთა ამხანაგობისაგან. 15. „ჩვენს ძვირფას ვლადიმერს"—გიორგი, კიტა და ვანო. 16. „ძმას და მეგობარს ვლადიმერს"—ელისაბედ წულუკიძე და ძმათა დიასამიძეთაგან.

## ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

**ქუთაისი.** უსაზღვრო მწუხარებაში ჩაგვაგდო ყველანი ვლ. ლორთქიფანიძის უდროო სიკვდილმა: ჩვენს წრეს მოაკლდა თავდადებული მუშაკი, უანგარო მოღვაწე. განსვენებული ბევრს შრომობდა, ბევრს საქმეს აკეთებდა სამშობლო ქვეყნის სასარგებლოდ, მაგრამ წყნარად, უხმოდ, ისე, რომ მხოლოდ უახლოესმა თანამოღვაწეებმა იციან, თუ რამდენად თვალსაჩინო იყო მისი შრომა ჩვენი დაჩაგრულ ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რამდენად საჭირო იყო მისი სიცოცხლე ტანჯულ ხალხის ცხოვრების შესამსუბუქებლად.

ქუთათურ თანამოაზრეთა წრე.

**ქუთაისი.** ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილება გამოუთქმელად შეაძრწუნა ვლ. ლორთქიფანიძის სიკვდილმა: განსვენებულს ბევრი შრომა მიუძღვის ჩვენს ეროვნულ საქმეებში, მისი სიცოცხლე დაუფასებელი იქნებოდა ჩვენის ბედშავ სამშობლოსთვის—და ულმობელმა სიკვდილმა ასე უდროოდ მოგვტაცა უანგარო მოღვაწე და დაუღალავი მუშაკი.

ქუთაისის განყოფილების გამგეობა.

**ბათუმი.** დიდად შეგვაწრწუნა და დარდში ჩაგვაგდო დაუვიწყარ მუშაკის და ამხანაგის ვლ. ლორთქიფანიძის უდროო გარდაცვალებამ.

ბათუმელი ამხანაგები.

**ბათუმი.** დიდად დაგვაღონა ძვირფას ვლ. ლორთქიფანიძის უდროოდ გარდაცვალებამ. ქართველმა იდეიურმა ინტელიგენციამ დაჰკარგა სპეტაკი მებრძოლი. გულწრფელ სამძიმარს უცხადებ უბედურ ოჯახს.

კოტე მესხი.

**ქუთაისი.** ჩვენთვის ძვირფას, მახლობელ ვლადიმერის გარდაცვალებამ უზომო მწუხარება და დარდი მოგვაყენა. გულით ვწუხვართ, რომ შეძლება არა გვაქვს დავესწროთ დაკრძალვას. ვთხოვთ უფალს, რომ ტანჯულმა ქვრივმა მამაცად გადაიტანოს აუწერელი მწუხარება. ანიკო, დავით.

**ქუთაისი.** ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას. გულწრფელად ვგლოვობთ სასარგებლო მუშაკის დაკარგვას.

კოტე ბაქრაძე, ისიხი ნაკაშიძე.

**რიონი.** გული მოგვიკლა სიმართლისა და ჭეშმარიტებისთვის მებრძოლის, ჩვენი ქვეყნის ძვირფას მუშაკის ვლადიმერის უდროოდ დაკარგვამ. სულითა და გულით განსვენებულის კუბოს წინაშე ვდგევართ. ვევედრებით უფალს, ძალა მისცეს დაობლებულ ოჯახს, აიტანოს ეს უზომო უბედურება.

პლატონ დევიძე, ექიმი ლოსაბერიძე.

**მანგლისი.** დიდად დაგვაღონა ჩვენის ძვირფას მეგობრის ვლ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების ამბავმა. ღრმეს სამძიმარს ვუცხადებთ დაობლებულ ოჯახს. ვგლოვობთ დაუვიწყარ ამხანაგის დაკარგვას, რომელმაც თავის სიცოცხლის საუკეთესო წლები ახალთაობის განათლებას მოანდომა.

მიქაბერიძე, ლემლეინი, ბალარჯიშვილი.

**ხონი.** ღრმად შეგვაწუხა ძვირფას ვლადიმერის გარდაცვალებამ. განსვენებული პატიოსანი მუშაკი იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე, ერთგულად მოყვარული თავის ქვეყნისა და ხალხის სასარგებლოდ მშრომელი. ვწუხვართ, რომ ვერ დავესწარით.

ხონელი მეგობრები.

**გორი.** გული მოგვიკლა საუცხოო მასწავლებლის და საზოგადო მუშაკის ვლადიმერ ლორთქიფანიძის დაკარგვამ.

მშველიძე, კიკნაძე.

**ალექსანდროპოლი.** უზომოდ შეგვაწუხა ვლადიმერ ლორთქიფანიძის უდროო სიკვდილმა. ვგლოვობთ კარგი ადამიანის დაკარგვას.

ვირსალაძე, ჩხეიძე.

**ქუთაისი.** მვარფას ვლადიმერის სიკვდილმა ყველანი დაგვაძმარა. ჩაჰქრა ახალგაზრდა სიცოცხლე დაუცხრომელ მუშაკისა, რომელსაც გულწრფელად უყვარდა თავისი ქვეყანა, დავკარგეთ გულწრფელი მოღვაწე და ქართველ ლიტერატორთა მცირე ჯგუფს მოაკლდა საუკეთესო წევრი.

დათიკო მდივანი.

**რიონი.** უზომოდ ვწუხვარ ძვირფას ვლადიმერის დაკარგვას. ვუგზავნი უკანასკნელ სალამს. კოლია მარამიძე.

**სამტრედია.** გული მოგვიკლა საყვარელ მასწავლებლის ვლადიმერის დაკარგვამ. უწყალო სიკვდილმა უდროოდ ბოლო მოუღო თავის ქვეყნის საუკეთესო შვილს.

გიორგი და ტიტე სიხარულიძენი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **წარმოდგენა და სეირნობა.** დღეს სათავად-აზნაურო ბაღსა და თეატრში, ქართ. დრ. საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა და დიდი სეირნობა. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი დამსახურებული მსახიობი ქ-ლი მ. საფაროვი-აბაშიძისა. საღამოს პროგრამა მეტად საინტერესოა. იმედია, ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებება ამ სიმპატიურს მიზანს და ხელს შეუწყობს გაღარიბებულ დრამ. საზოგადოებას.

✦ **სასინოდო კანტორის პროკურორის მოადგილე.** როგორც ვწერდით, ქართლ-კახეთის სასინოდო კანტორის პროკურორი შელიავსკი დასასვენებლად წავიდა. სინოდის ობერ-პროკურორის ბრძანებით, იმის თანამდებობას დროებით ასრულებს დაევალა სასულიერო სემინარიის უფროს მასწავლებელს ი. მ. გორტინსკის (ტ. ლ.).

✦ **რევიზია.** „კავკაზის" სიტყვით, ამ დღეებში ტფილისში ჩამოვლენ სამინისტროს მოხელენი პასინკოვი და სმირნოვი. ესენი მოდიან ტფილისის, ქუთაისის და ერევნის გუბერნიების სახაზინო პალატების. ხაზინების და გადასახადთა ინსპექტორების საქმეების სარევიზიოდ.

✦ **სამართალში მიცემა.** „ზაკ." სიტყვით, ქარელის ბოქაული ციცაშვილი სამართალში აძლევს თურმე ლევან ყიფიანს. ლევან ყიფიანმა „ბაკუ"-ში წერილი დაბეჭდა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ილია ნაკაშიძე, ბოქაულ ციციშვილის ბრძანებით სცემესო.

✦ **უპასპორტოები.** 30 ივნისს დიდუბის ქუჩაზე, ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 16 უპასპორტო კაცი.

✦ **დაჯარიმება.** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ტფ. გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულ იქმნენ მესარდაფენი ალექსი ჯოხაძე—10 მან., მალაქია ომიაძე—15 მან., ეგორ ბაბანოვი—10 მან., მეეტლენი კარაპეტ ვარტუმოვი, თედო ზარიკიძე, პავლე შვინნი, პარონ შეზპროზვანნი, საბერჯანა შუზოვი, სტეფანე აბესალომოვი, ასლან საფაროვი და ტარასი გოგორიშვილი—თითო მანეთით.

✦ **გამოფენა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის მოადგილის წინაშე, ნება დაერთოს ამა წლის 20-30 ნოემბერს ტფილისში გამართოს მეფუტკრეობის გამოფენა-ბაზარი.

✦ **თელავი.** 20 ივნისს, საღამოს $10^1/_4$ საათზე, საგრძნობლად იძრა მიწა. აღმოსავლეთიდამ დასავლეთისკენ. ბევრს ძრიელ შეეშინდა.

✦ 30 ივნისს ავლაბარში დააპატიმრეს სამი ბავშვი გერქ მიკირტუმიანცი, გერქ ლევიდოვი და არმენაკ ცატუროვი, რომელთაც დაბრალდათ არმენაკ სარუხანიანცისთვის 10 მან. მოპარვა.

✦ 30 ივნისს დააპატიმრეს კავკავის მცხოვრები მახიელ დარიონოვი, რომელსაც აკიმოვის ქუჩაზე ეჭვებია შახნაზაროვისა და ნორაშენის ქუჩაზე ერთი მცხოვრებლისთვის მოუპარავს 92 მან. ნივთები.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ქალაქის საბჭო.** წყლის მილის საკითხის გარდა 28 ივნისის სხდომაზე საბჭომ შემდეგი საქმეები განიხილა: მიღებულ იქმნა ქალაქის გამგეობის მოხსენება, განმეორებულ იქმნა შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ქალაქს უფასოდ დაეთმოს ხე-ტყის მოედნის გასამართავად სახაზინო ადგილი, ეგრეთ წოდებული „წყალთა-შუა"; ხოლო, თუ შუამდგომლობა არ იქმნა შეწყნარებული, შეღავათიანის პირობით იყიდოს ადგილი (საჟენში მისცეს არა უმეტეს 1 მ. 50 კ. და ფული გადაიხადოს თანასწორ ნაწილებათ 37 წლის განმავლობაში). შეწყნარებულ იქნა მეფურნეების თხოვნა პურის ნიხრის მომატების შესახებ. არსებულ ნიხრს მოემატა ოყაზე 1 კაპ., ე. ი. პირველ ხარისხის პური უნდა იყიდებოდეს 14 კაპ. ოყა, მეორესი—13 კაპ. და მესამესი—12 კაპ. აღმოჩნდა, რომ მეფურნეებს აღარ დაუცდიათ საბჭოს დადგენილებისათვის და თავის ნებით მოუმატებიათ ნიხრისათვის ოყაზე 1 კაპეიკი. დადგენილ იქმნა, რომ ქალაქმა შეიძინოს სასწორის მოედნის გასაფართოვებლად ჩხეიძისა და ალუფარაძის ადგილები; პირველს უნდა მისცეს 192 ოთხკუთხ საჟენში 8,000 მანეთი; მეორეს კი 6 თუ 7 ოთხკუთხ საჟენ ადგილის დათმობისათვის უნდა მისცეს მოედნის პირას დუქნების გამართვის ნებად (თავისი ბუდკები უნდა აიღოს). დადგენილ იქმნა, რომ ქალაქმა, სხვადასხვა დაწესებულების თანდახმარებით, იკისროს სახელმწიფო ბანკის განყოფილებისათვის ქუთაისში სახლის დაქირავება იმ დრომდე, სანამ განყოფილებას ოპერაციებიდან მოგება არ ექმნება. მიღებულ იქმნა ფ. ს. ფილიპოვის წინადადება შესახებ იმისა, რომ ქალაქმა კვირაში ორჯერ, ხუთშაბათობით და კვიაობით, მოიწვიოს ქალაქის ბაღში (ბულვარში) სამხედრო მუსიკა. ნება მიეცა ნ. ვ. მარჯანიშვილს, იჯარით აიღოს ორი წლის ვადით წიგნების გამომცემელ ქუთაითურ ამხანაგობის კიოსკი (ქალაქის ბაღში).

# ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**შაჰის ყაზახების დამარცხება.**

სტამბოლში ცნობა მიიღეს, რომ სარდალ-ასადმა დაამარცხა ბახტიარებით.

**სპარსელ კონსტიტუციონალისტის წერილი.**

გერმანულ ჟურნალის „პრეუსიშე იარბიუხერ"-ის უკანასკნელ (ივლისის) ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ერთის გამოჩენილ და განათლებულ სპარსელ კონსტიტუციონალისტისა. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი ამ წერილიდან:

„უბედურ სპარსეთს თან და თან მეტი უბედურება ატყდება თავსა. აქამდე სპარსელ კონსტიტუციონალისტებს, რომლებსაც შეცდომით ზოგი რევოლიუციონერებს ეძახის, ზოგი ნაციონალისტებს, ჰყავდათ მხოლოდ ერთი გამოჩენილი, აშკარა მტერი. ეს მტერი იყო შაჰი თავის რეაქციონურ ხროთი, რომელსაც მეთაურობს ემირ ბაგადურ-ჯენგი. ამ მტერს მცირე ძალა ჰქონდა და იგი უკვე ქედს იხრიდა აჯანყებულ ხალხის წინაშე. მაგრამ ამ ჟამად თავისუფლებისთვის მებრძოლთ, სამწუხაროდ, წინ გადაეღობა ახალი მტერი, რომლის ძალაც დაუფასებელია ხიშტის წვერზე. მის დანახვაზე, თავისუფლების მეგობარნი ჯერ ძლიერ შეშინდნენ, მაგრამ მერე ბეჯითად რომ დაუკვირდნენ, მიჰხვდნენ, რომ ეს მტერი დიდი ხანია გზაში ედგათ და მხოლოდ მარჯვე წამს უცდიდა, რომ აშკარად დაეწყო მოქმედება. გამოჩნდა, რომ ცალ-თვალ, კაციჭამია დევს ფხიზლად ედევნებინა თვალი თავის მსხვერპლისთვის და რა წამს მარჯვე წამმა დაჰკრა, იგი ყოვლად ძლიერ ბატონივით გადაეფარა სპარსეთს.

ვინ არის ეს ბოროტი სული აზიის უბედურ ერებისა, რომლებიც ყოველ-ნაირად ცდილობენ მონობიდან გამოსვლას? ეს არის ის ბოროტებისა, შურიანობისა, ეგოიზმისა, ცბიერებისა, მონობისა, ძარცვისა და უსინიდისობის ორთავიანი ლმეტი, რომელსაც სახელად ჰქვიან—„ევროპის პოლიტიკა აზიაში!" ეს არის ის ევროპა, რომელიც მთელის თავის ქონებრივ კეთილდღეობის წყაროდ გაუხდია აზია და აზიელთა უვიცობა. იგი ვერ მოითმენდა, რომ სპარსელები თითონვე ყოფილიყვნენ თავიანთ თავის ბატონი.

ევროპის წარმომადგენლად გამოვიდა ინგლისი. მას უკან მისჩანჩალებს რუსეთი, რომელიც თავის თავს დიდ სახელმწიფოდ სთვლის; რუსეთმა სპარსეთში უკვე ჯარიც შეიყვანა ისე, როგორც ადრე მანჯურიაში. ცხადია, რუსეთი ვერა ჰხედავს, რომ იგი ვერ გაბატონდება ჩრდილოეთ სპარსეთში, რადგან ამის ნებას არ მისცემენ ჯერ თითონ სპარსელები და მერე ინგლისი... ინგლისმა იმ აზრით შეაყვანინა რუსეთს ჯარი ჩრდილოეთ სპარსეთში, რომ თითონაც ჰქონდეს უფლება სამხრეთ სპარსეთის დაჭერისა. და მერე, როდესაც ინგლისი საკმაოდ გამაგრდება სამხრეთ სპარსეთში, განა იგი ყოველ ღონისძიებას არ იხმარს, რომ სათარ-ხანმა და ადერბეიჯანის ხალხმა რუსები გარეკონ სპარსეთიდან? ინგლისს იმისთვის უნდა სამხრეთი სპარსეთი, რომ ეგვიპტედან ინდოეთამდე რკინის გზა გაიყვანოს; ეს დიდი ხანია გულში უდევს ინგლისს.

მაგრამ ეხლანდელი სპარსეთი როდიღაა ის ძველი სპარსეთი, რომელიც ქედს იხრიდა ინგლის-რუსეთის მუშტის დანახვაზე. მას იმდენი შეიარაღებული მეომარი ჰყავს, რომ თამამად შეუძლიან ბურებივით პარტიზანული ომი დაიწყოს რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. ჩვენ, სპარსელებს, არ გვინდა, რომ ინგლისელების ან რუსების წყალობაზე ვიყვნეთ დამოკიდებულნი ჩვენ გვაქვს უფლება დამოუკიდებელნი ვიყვნეთ და გვინდა, რომ სრულის თავისუფლებით ვსარგებლობდეთ, ინგლისს არ ეგონოს, ვითომ ჩვენ არ ვიცოდეთ მისი მოქმედება არაბეთში, როგორაა ცდილობს ის იქ გამაგრებას და ბაღდადამდე რკინის გზის გაყვანას. ოსმალებიც გაიგებენ ამას და შესაფერ ღონისძიებას მიიღებენ.

ჩვენც ვაცხადებთ ეხლავე, რომ სპარსეთი მედგრად განაგრძობს ბრძოლას თავისუფლებისთვის. დღემდე სპარსელებს არაფერი არ დაუშავებიათ არც რუსებისთვის, არც ინგლისელებისთვის. მთელი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ებრძვის შინაურ მტრებს, და უცხოელებს მაინც ცუდად არ ვინ მოჰქცევია, თუმცა უცხოელებს: ლიმხოვს გარტვიგს და ბარონოვსკის აშკარად ეჭირათ შაჰის და რეაქციის მხარე.

რუსეთი იწმუნება, რომ სპარსეთში ჯარი წესიერებისა და კონსტიტუციის აღსადგენად შეიყვანეო თუ კი ასე აფასებს კონსტიტუციას, რატომ ჯერ თავის ხალხს არ მისცემს? მართალია სპარსელები უმეცრები არიან, მაგრამ მათ მაინც კარგად ესმისთ რუსეთის პოლიტიკის შინაარსი.

წერილის ავტორი შემდეგ ლაპარაკობს სპარსელ კონსტიტუციონალისტებისა და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მეგობრულ განწყობილობაზე სპარსელ რევოლიუციონერებს ბევრი იარაღი და სამხედრო მასალა მოსდით ოსმალეთიდან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ადერბეიჯანში, რომელიც შეადგენს სპარსეთის უმდიდრეს და მჭიდროდ დასახლებულს პროვინციას, განსაკუთრებით თურქები ცხოვრობენ. ადერბეიჯანის თურქები ოსმალებისგან განირჩევიან მხოლოდ ლაპარაკის კილოთი და სარწმუნოებით: ადერბეიჯანელები სხვა სპარსელებივით შია-მუსულმანები არიან, ხოლო ოსმალები სუნა-მუსულმანები. მაგრამ ოსმალელი და სპარსელი კონსტიტუციონალისტები დიდ მნიშვნელობას როდი აძლევენ ასეთ სარწმუნოებრივ განსხვავებას. აქედან ცხადია, თუ რა მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ ოსმალეთისა და სპარსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. არც ის უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ოსმალეთის ჯარი უკვე დგას სპარსეთის საზღვარზე ოა მას აქეთ რაც რუსის ჯარი შევიდა სპარსეთში. უფრო შესაძლებელი გარდა მისი შეტაკება ოსმალეთის ჯართან.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

**პირველი კერძო სამკურნალო**
**დოქტ. ნავასარდიანცისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—119)

**ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ და ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ**
**„ᲡᲞᲔᲠᲛᲐᲢᲘᲜᲘᲡᲐ"**
და
**„Ა Ლ Მ Ე Ზ Ი Ს Ა"**
გადავიტანე ვორონცოვის ძეგლთან, ნეკრასოვის ქუჩაზე, № 14.
(30—6.—8) **ი. ახობაძე.**

**ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲑᲐᲚᲚᲘᲜᲯᲝᲔᲑᲡ!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი", რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი" ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს $^0/_0$.
(15—ახ.—14)

**ᲔᲥᲘᲛᲘ ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა.
(წლ.—6.—79)

**ბაღი-რესტორანი**
**ამხანაგობის**
**„ᲘᲣᲟᲐᲜᲔ"-ᲡᲘ**

სასახლის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაზინო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღისით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. **ბაღში შესვლა უფასოდ.**

სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ სასმელზე არის ცალკე „კარტოჩკები" და „პრეისკურანტები". ფასები ზომიერია.
телефонъ N 233. (50—გაყ.—20)

**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ**
**Დ. Ზ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**
**კ ა ნ ტ ო რ ა** ЗАВОДСКАЯ МАРКА **ტ ფ ი ლ ი ს შ ი.**

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდათ **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **Დ. Ზ. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი"**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე"**. (20—234—19)

**ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲡᲣᲚ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ**

**„ᲢᲠᲘᲞᲔᲠᲘᲡᲐ"** (სუსუნაიისა)

პირველად შეხე დრილისა, ქრონიკულისა და ყველა მისი შედეგისა როგორც მამაკაცისა, ისე დედაკაცისა

—◀ ახალ განსაკუთრებულ წამლით ▶—

**„ᲡᲐᲚᲘᲣᲑᲠᲘᲜ ᲑᲔᲠᲟᲔ"-ᲗᲘ.**

**„სალიუბრინ-ბერჟე"**—მეცნიერული პრეპარატია, რომელიც საშინლად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და რომელმაც საუკეთესო ნაყოფი მოიტანა ტრიპერის (სუსუნატის) წამლობის დროს. **„სალიუბრინ ბერჟე"** მომზადებულია **პროფესორ ედ. გიუმონდის** რეცეპტით. ექიმების მოწმობით, **„სალიუბრინ ბერჟე"** ყველა დღემდე არსებულ წამალსა სჯობია. ყოველ დღე აუარებელ მადლობის წერილი მოდის რუსეთის ყველა კუთხიდან და ეს ნიმუშია იმისა, რომ სალიუბრინი საუცხოვო წამალია.

თუ გინდათ ჯანმრთელი იყო, იხმარეთ **„სალიუბრინ ბერჟე"**.

**ფასი 2 მან. 50 კაპ.** გაგზავნა საფოსტო ტარიფით. ფას-დადებით 25 კაპ. უფრო ძვირია.

◀ **კ დოზა სალიუბრინისა სრულ მოსარჩენად** ▶

იგზავნება 7 მანეთის მიღებისთანავე ან ფასს-დადებით. სამეცნიერო-პოპულიარული წიგნაკი პროფესორ გიუმონდისა „სალიუბრინზე" იგზავნებიან შვიდ-კაპეიკიან მარკის მიღებისთანავე ვინც სამ დოზას გამოიწერს, წიგნაკი უფასოდ გაეგზავნება.

მსურველმა უნდა მიმართოს ამ ადრესით: Сѣверное Товарищество Берже.
მთავარი ერთად-ერთი სააგენტო მთელ რუსეთისთვის: Петербургъ, Загородный пр. N 9. Отд. 10.
(0—ზალ—1)

**განყოფილება ტფილისში: ნეკრასოვის ქ. ახობაძე.**

**ᲞᲠᲝᲕᲝᲓᲜᲘᲙᲘᲡ**

ФАБРИЧ. Т Р Ф З КЛЕЙМО ПРОВОДНИКЪ РИГА

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

1897 წ. 1888

1908 წ.

**ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ**
**Რ Ი Გ Ა Შ Ი**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲦᲓᲐᲓ ᲓᲐ ᲪᲐᲚᲝᲑᲘᲗ:** ●

**ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲘᲞᲐᲟᲝ ᲨᲘᲜᲔᲑᲘ,**

**ᲞᲜᲔᲕᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲔᲑᲘ „ᲐᲚᲛᲐᲖᲘ"** (წითელი),

**ᲞᲜᲔᲕᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲘᲜᲔᲑᲘ ᲕᲔᲚᲝᲡᲘᲞᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ,**

**ᲛᲐᲙᲘᲓᲠ-ᲠᲔᲖᲘᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ—ᲝᲛᲜᲘᲑᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ.**

**„პროვოდნიკი"**-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

**ᲪᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲔᲓᲐ-ᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲐᲚᲝᲨᲔᲑᲘᲡ**
**„ᲞᲠᲝᲕᲝᲓᲜᲘᲙᲘ"-ᲡᲐ**

სტამბა „სინათლე", დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ხ. აბლაძე.**